ოქმი №1

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პირველი სხდომისა

ქუთაისი, 2021 წლის 27 დეკემბერი, 12 სთ

სხდომის ჩატარების ადგილი:
მერიის სხდომათა დარბაზი, N210
ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: **მ.ნიჟარაძე, ბ. ბრეგაძე, ზ.მამასახლისი, გ.ბასილაძე, გ.კილაძე, ბ.მახარაძე, ლ.სანიკიძე, მ.სიმონიძე,**

სულ: კომისიის 9 წევრი.

არ ესწრებოდა: დ.ბახტაძე, გ.მანაგაძე, დ.ფხაკაძე, რ.ქვაჩაკიძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **ი. შენგელია,** თავმჯდომარის მოადგილე ბატონი **თ.ნადირაძე**, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ბატონი **პ.ადამაძე** და საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი ბატონი **დ.ნიშნიანიძე.**

კომისიის სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ა.კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა კომისიის სხდომის შემდეგი **დღის წესრიგი:**

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის N167 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

   /ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

   /ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის“ განხილვა;

   /ა.კოპალეიშვილი, დ.ნიშნიანიძე/

4. მიმდინარე და სხვადასხვა საკითხები

კენჭი ეყარა დღის წესრიგს და ერთხმად დამტკიცდა.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „წარმოდგენილია მეშვიდე ცვლილება ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში, რომელიც ძირითადად შიდამუხლობრივმა ცვლილებებმა გამოიწვია. მინდა საკითხების დეტალურად წარმოდგენის მიზნით სიტყვა გადავცე ბატონ დავით ნიშნიანიძეს.

1. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია 2021 წლის ბიუჯეტში მეშვიდე ცვლილების შესახებ. მან აღნიშნა, რომ წლის ბოლოს ბიუჯეტი ზუსტდება და შედის საბოლოო ცვლილებები. წარმოდგენილ ცვლილებას საფუძვლად უდევს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულების დაკორექტირება, რითაც ბიუჯეტი შემცირდა 1510.0 ათასი ლარით, ფაქტიურ შესრულებებთან შესაბამისობაში. ამასთან, ბიუჯეტში აისახა, 5%-ის ფარგლებში, წლის მანძილზე განხორციელებული ცვლილებები კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის. წარმოდგენილი ყველა ცვლილების შედეგად, ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 92088,4 ათას ლარს.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „მეშვიდე ცვლილების მასალა წინასწარ დაგვირიგდა. თუ დამატებითი კითხვები არ გვაქვს, წინადადებით შემოვდივარ საბიუჯეტო ცვლილებას ბიუჯეტის 2021 წლის დოკუმენტში კენჭი ვუყაროთ“.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 7, **წინააღმდეგი** - არც ერთი.
თავი შეიკავა კომისიის ორმა წევრმა
დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

2. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია 2021 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ გვაქვს 29 მილიონ ლარიანი ზრდა წინა წელთან შედარებით. 2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 56063,1 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 6 823,5 ათასი ლარით(13,8%-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 44 063,1 ათასი ლარით;
  2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 13,7%-ით (5 323,5 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 12000,0 ათას ლარს;
  2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 14,3%-ით (1500,0 ათასი ლარით) იზრდება.

2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 6 600,8 ათასი ლარამდე, მათ შორის:
  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 280.0 ათასი ლარი;
  - ✓ სხვა დონის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტები 660,0 ათასი ლარი;

✓ კაპიტალური ტრანსფერი - 5 660,8 ათასი ლარი.

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 1 350,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ პროცენტები 1000,0 ათასი ლარი. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 400%-ით (800,0 ათასი ლარით) იზრდება.
  - ✓ რენტა 290,0 ათასი ლარი - 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 23,4%-ით (55,0 ათასი ლარით) იზრდება.

  შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 4,215.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 600,0 ათასი ლარი;
  - ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 5,0 ათასი ლარი;
  - ✓ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1040,0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 2000,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 570,0 ათასი ლარი;
- შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3250,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 3000,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 200,0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) 50,0 ათასი ლარი.
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 6,397.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 5797.9 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 600,0 ათასი ლარი

- არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 6000,0 ათას ლარს;
- ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრება 6000,0 ათასი ლარის ოდენობით;
- ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 574,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 89 876,8 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 29 790,3 ათასი ლარით).

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თქვენმა სამსახურმა დიდი სამუშაოები გასწია ამ ბიუჯეტის შესადგენად. ჩვენს კომისიასაც ქონდა შენიშვნები, რომელთა დიდი ნაწილი გათვალისწინებულია“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „რა ფაქტორებმა განაპირობეს ბიუჯეტის ზრდა?“

დ.ნიშნიანიძე: „ეს არის საგადასახადო შემოსავლების ზრდა, დღგ, ქონების გადასახადები, ასევე არაფინანსური აქტივების კლება“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „თუ არის ცნობილი, ქონების გადასახადში ზრდა რა სახის ქონებებმა გამოიწვია?“

დ.ნიშნიანიძე: „ამ გადასახადის ადმინისტრირებას აკეთებს შემოსავლების სამსახური და ჩვენ ამ ბაზასთან არ გვაქვს წვდომა. ძირითადი მიზეზი არის საბალანსო ქონებების ზრდა. თუმცა შეიძლება დაკვირვებით მივხვდეთ იმასაც, ზოგიერთი მსხვილი მდგენელი რომელია. მაგალითად ასეთია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „მთავარი ის გახლავთ, რომ დეცენტრალიზაციის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად გაზარდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები დაახლოებით 5,5 მლნ.ლარით. ასევე მნიშვნელოვანია ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის, არა მარტო როგორც ინსტიტუციის არსებობა, არამედ მისგან მიღებული ფისკალური ეფექტიც“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ბიუჯეტის ფორმასთან დაკავშირებით - აქ მოტანილ 2021 წლის ბიუჯეტის სვეტში პარამეტრები დაზუსტებული გეგმაა თუ თავდაპირველი ვარიანტი?“

დ.ნიშნიანიძე: „ეს არის არსებული მდგომარეობით“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „უკეთესი იქნებოდა დაზუსტებული ვარიანტისათვის შეგვედარებინა გეგმა-გეგმასთან და არა ფაქტიური რაღაც პერიოდის მდგომარეობით“.

დ.ნიშნიანიძე: „2021 წლის ფაქტიურ მონაცემს ბუნებრივია ჯერ ვერ შევიყვანდით ამ დოკუმენტში. ბიუჯეტის დაგეგმვისასა ფინანსთა სამინისტრო მიმდინარე პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებლებს ითვალისწინებს“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „ბუნებრივია, ჩვენ ვსაუბრობთ ფაქტებზე, მაგრამ 2021 წლის ფაქტობრივი მდგომარეობა ჯერ არ დამდგარა“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „რამდენადაც ჩვენ არ გვაქვს ფიზიკურ პირთა ქონების საგადასახადო ბაზა, რაც ხარვეზია, ზოგადად ქონების გადასახადი მრავალი მდგენელისაგან შედგება და აქ არ არის მხოლოდ საერთაშორისო უნივერსიტეტის წილი. რაც შეეხება დღგ-ის ზრდას, ის შეიძლება გამოწვეული იყოს ფასების ზრდით, ეკონომიკური ზრდით ან ადმინისტრირების გაუმჯობესებით“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „თუ არის თქვენთვის ცნობილი, ბოლო კვარტლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი?’

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „არ ვიცი“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „ეს არის 10,3%“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „სამწუხაროდ ამას საზოგადოება ვერ გრძნობს“.

კომისიის წევრი **ლ.სანიკიძე:** „ბატონო ბესო, ნუ გამოვრიცხავთ, რომ დღგ-ის ზრდის მიზეზი თქვენს მიერ დასახელებული სამივე ფაქტორი შეიძლება იყოს“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „ჩვენ გაზრდილი მაჩვენებლები ავსახეთ ბიუჯეტში, არსებული ტენდენციების გათვალისწინებით. ბატონო ბესო, თქვენი პირველი შენიშვნა მეთოდოლოგიას შეეხება?

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „დიახ, ძირითადად მეთოდოლოგიას. გარდა ამისა, შემცირებულია გეგმა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელში - წლევანდელი 1290 ათასი ლარის ნაცვლად 1040 ათასი ლარი. რატომ არის კლება?“.

დ.ნიშნიანიძე: „ამ გადასახადის ადმინისტრირებასაც ჩვენ არ ვაკეთებთ. ეს ბიზნესი თვეების განმავლობაში იყო გაჩერებული, რამაც შეამცირა შემოსავალი.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „მაშინ ასეთ პირობებში რატომ იზრდება დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა 1,8 მლნ. ლარიდან 2 მლნ. ლარამდე? თუმცა მე მიმაჩნია, რომ უკეთესი ადმინისტრირების პირობებში მეტის ამოღებაც შეიძლება“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „ჩვენ შარშან შევამცირეთ ეს მოსაკრებელი. თუ სხდომებს ესწრებოდით, გემახსოვრებათ ამის შესახებ“.

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, პანდემიის დროს მცირედით შევამცირეთ გეგმა. მოხდა გადავადებები ორგანიზაციებზე. ამიტომ, 2021 წლიდან დავიწყეთ ეტაპობრივი ზრდა“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „კიდევ ერთი ციფრი, რომელზეც საზოგადოების ყურადღებას გავამახვილებ ეს არის შემოსავლები სანქციებიდან და ჯარიმებიდან. იგი 0,5 მლნ. ლარით არის გაზრდილი. ამასთან პარკირებიდან შემოსავლის პროგნოზი მხოლოდ 50 ათასი ლარია“.

დ.ნიშნიანიძე: „ეს ტექნიკური საკითხია. „პარკინგსერვისს“ არ შეეძლო ეს გადახდები განეხორციელებინა. 2019 წლიდან მისდამი უფასო უზურფრუქტი შეიცვალა იჯარით. ეს დავალიანება გაიწერება წლების მიხედვით“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „კი ბატონო, წელსაც რაღაც თანხა ჩაგვედო ბიუჯეტში, კარგი იქნებოდა. ამასთან, შემოსავლებს მგზავრობის გადაყვანის ნებართვიდან ვგეგმავთ 600 ათას ლარს. წელს გვქონდა 400 ათასი ლარი“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „ჩვენ მივდივართ ადმინისტრირების გაზრდის გზით. შარშან მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ეტყობა არც მაშინ ბრძანდებოდით სხდომაზე“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „შემოსავალი ხელშეკრულების დარღვევის გამო გვაქვს 400 ათასი ლარი. ამი პროგნოზს როგორ ვაკეთებთ, ვდებთ ხელშეკრულებებს და ვაპროგნოზებთ, რომ დაირღვევა?

დ.ნიშნიანიძე: „ვერ დაგეთანხმებით. ჩვენ ვაკვირდებით წლების ტენდენციას. ეს არის ძირითადად მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, სადაც ირღვევა ხელშეკრულებები არცთუ იშვიათად. ძირითადად ეს თანხები წლის მეორე ნახევარში აკუმულირდება“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „წინადადება მაქვს ბესიკ ბრეგაძის გამოცდილება გამოვიყენოთ და მივცეთ მას საშუალება ბიუჯეტის დაგეგმვისას უფრო ღრმად ჩერთოს ამ პროცესებში. იმედია ამით ასეთი ტექნიკური ხასიათის შენიშვნები აღარ განმეორდება“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თუ დამატებით სხვა რაიმე არ არის, გადავიდეთ ხარჯვით ნაწილზე. გთხოვთ ბატონო დავით“.

დ.ნიშნიანიძე: „ხარჯვით ნაწილში გვაქვს შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ინფრასტრუქტურის განვითარება - 24 030,6 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 8 731,1 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 19 500,6 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 6 528,5 ათასი ლარი; მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 14 859,0 ათასი ლარი“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „ქალაქის გენგეგმის თანხა რატომ არის ასე უმნიშვნელო მოცულობით ჩასმული?“

დ.ნიშნიანიძე: „ეს არის პირველი ეტაპის თანხა. მეორე ეტაპზე გათვალისწინებული იქნება 1,2 მლნ. ლარი“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ამ ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა სად შეიძლება მოვიპოვოთ?“

დ.ნიშნიანიძე: „აღნიშნულის შესახებ მასალები თითქმის მთლიანად არის გამოქვეყნებული SPA-ზე“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ბიუჯეტის დოკუმენტში რიგ სტრუქტურებში არ არის მითითებული დასაქმებულთა რიცხოვნობა. ამასთან დაკავშირებით, თქვენს დანართებში სხვა ციფრებია, ბიუჯეტის ძირითად დოკუმენტში კი სხვა. მაგალითად, ააიპ „ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ დასაქმებულთა რიცხოვნება შესაბამისად არის 1562 და 1873. სამწუხაროდ ეს დანართები არასათანადოდაა მომზადებული და ხარვეზებითაა გაკეთებული. ეს ხარვეზები გასასწორებელია“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „ბატონო დავით, ასეთ ხარვეზებს მივაქციოთ მომავალში ყურადღება და გავასწოროთ“.

დ.ნიშნიანიძე: „დიახ, არის ეს ხარვეზები, თუმცა დანართები საინფორმაციო ხასიათისაა და ძირითად დოკუმენტში არსებული ციფრები ყველა ზუსტია. ამიტომ დანართებს შევასწორებთ და დღესვე გამოგიგზავნით შესწორებულ ვარიანტს“ .

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „ხელფასების ზრდა რამდენი პროცენტია ჩადებული?“

დ.ნიშნიანიძე: „მერიაში 20-25%, ააიპ-ებში 20%. ზრდა ყველას შეეხო“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „იქნებ გავითვალისწინოთ დატვირთვები თანამშრომლების და დამატებითი ანაზღაურება დავუნიშნოთ ან წავახალისოთ მოქალაქეებთან მომუშავე მერიის მუშაკები, რომლებსაც დიდი დატვირთვა და მაღალი კვალიფიკაცია აქვთ“.

პ.ადამაძე: „გეთანხმებით, ამ კატეგორიის მუშაკთა დამატებით მატერიალურ წახალისებას უთუოდ გავითვალისწინებთ“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „საგზაო ნიშნებზე, გარეგანათებაზე, ტურისტული ობიექტების რეაბილიტაციაზე, უპატრონო ცხოველების პატრონობაზე რატომ გვაქვს 0 ლარი?“

დ.ნიშნიანიძე: „ეს ღონისძიებები გვაქვს შესაბამისი ქვეპროგრამების სახით, ერთად თავმოყრილი. ასე უფრო მოსახერხებელია მათი კონტროლი და ადმინისტრირება. მაწანწალა ძაღლების ოპერირებას კვლავ „სპეცსერვისები“ განახორციელებს“.

კომისიის წევრი **მ.სიმონიძე:** „იქნებ მაწანწალა ძაღლების პრობლემას მივხედოთ, ძალიან შეწუხებულია ამით ქალაქის მოსახლეობა“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „ამ კუთხით მიდგომა შესაცვლელია. ალბათ რეგიონული ცენტრის დაარსებისკენ მივდივართ. საქმე იმაშია, რომ ხდება ცხოველთა მიგრაცია მეზობელი რაიონებიდან, რომლებიც ვერ წყვეტენ ამ პრობლემას და საჭიროა ერტაინი ძალისხმევა ამ საქმეში“.

კომისიის წევრი **ბ.ბრეგაძე:** „პროგრამულ ნაწილში მითითებულია გაეროს კონვენციები, მისი ცალკეული მუხლები, გენდერული თანასწორობის მოთხოვნები და ა.შ. ჩემთვის, როგორც თვითმმართველობისათვის ისინი სულაც არ არის სავალდებულო“.

საკრებულოს თავმჯდომარე **ი.შენგელია:** „გაეროს მდგრადი განვითარების კონვენციას შეუერთდა თვითმმართველობები. ამიტომ გარკვეული ვალდებულებები რა თქმა უნდა, გაგვაჩნია. ასევე მნიშვნელოვანია გენდერული პოლიტიკის ელემენტების გათვალისწინება მაგალითად, ინფრასტრუქტურის ნაწილში, მისი მაღალი მგძნობიარობიდან გამომდინარე“.

კომისიის წევრი **ბ.მახარაძე:** „ბიუჯეტში ჩადებულია მნიშვნელოვანი ზრდა, რაც ბევრი ახალი პროექტის განხორციელების საშუალებას იძლევა. ამიტომ უმჯობესი იქნება ვისაუბროთ მოსახლეობისთვის საინტერესო საკითხებზე და არა ტექნიკურ ხარვეზებზე“.

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „ხაზგასასმელია, რომ საბინაო სამსახურს თითქმის 4 მლნ.ლარით გაეზარდა დაფინანსება, დაემატა 3 პროგრამა. 2022 წლის ბოლოს მოსახლეობა იგრძნობს პოზიტიურ შედეგებს. თანამონაწილეობით პროექტებზეც იქნება წინსვლა. გვაქვს სიახლე სადარბაზოებზე, რომელსაც სრული რეაბილიტაციის პროგრამა დაემატა. ამიტომ მოსახლეობას ვურჩევდი მეტ აქტიურობას. მთლიანობაში შეიძლება წარმოდგენილი ბიუჯეტი შეფასდეს პოზიტიურად და გთავაზობთ კენჭისყრაზე საკითხის დაყენებას.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 7, **წინააღმდეგი** - არც ერთი.
თავი შეიკავა კომისიის ორმა წევრმა
დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

3. **მოისმინეს:** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის ბატონი **დ.ნიშნიანიძის** ინფორმაცია ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ეს არის მომდევნო წლების პროგნოზის შემცველი დოკუმენტი, რომელიც ძირითადად პროგრამულ ნაწილს მოიცავს. აღნიშნულის შესახებ ბიუჯეტის ძირითადი დოკუმენტის განხილვისას უკვე ვისაუბრეთ“.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის თავმჯდომარე **ა.კოპალეიშვილი:** „თუ დამატებითი შეკითხვები არ არის, დავაყენოთ საკითხი კენჭისყრაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: **მომხრე** 7, **წინააღმდეგი** - არც ერთი.
თავი შეიკავა კომისიის ორმა წევრმა
დაადგინეს: მხარდაჭერილ იქნას წარმოდგენილი ცვლილებები.

ამით, საკრებულოს კომისიის პირველმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ამირან კოპალეიშვილი**